

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

29 ნოემბერი, 2017 წელი

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/07

**ხელოვნების უნივერსიტეტის შინაგანაწესში
ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პი-რველი პუნქტის და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ხელოვნების უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-15 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

5. „აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან, ამ უსდ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ უსდ-ში.

ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, შემოქმედებით/კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება აღნიშნულ უსდ-ს;

აქტიურად არის ჩართული უსდ-ში საგანმანათლებლო, შემოქმედებით/კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტი წინასწარ აცხადებს თანხმობას ხელოვნების უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ხელშეკრულების დადებითა და შესაბამისი თანხმობის ფორმის შევსებით კვლავ ადასტურებს მას.

იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა უსდ-სთან მასთან წყდება შრომითი ხელშეკრულება და იგი ტოვებს აკადემიურ თანამდებობას.

ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია ანიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია

აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ.

აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმას ამტკიცებს რექტორი.

კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა მოახდინოს ხელოვნების უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ წერილობითი შეთანხმება.

დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმები (დანართი #1 და დანართი #2)

დანართი #1

შეთანხმება

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ

კონკურსში მონაწილე პირთან

მე ----- პ/ნ ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში აფილირებული ვიყო სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს. იმ შემთხვევაში თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან თანახმა ვარ შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება და დავტოვო აკადემიური თანამდებობა.

/ხელმოწერა/

დანართი #2

შეთანხმება

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის მქონე პირთან

მე ----- პ/ნ ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აფილირებული ვიყო სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს. იმ შემთხვევაში თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან თანახმა ვარ შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება და დავტოვო აკადემიური თანამდებობა.

/ხელმოწერა/

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე

ე. მესხია

